Grant Thornton

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი

დამოუკიდებელი მარწმუნებელი დასკვნა ორგანიზაციის მიერ 2014 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

20 აპრილი 2015 წ.

Grant Thornton

შპს გრანთ თორნთონ ახვლედიანი
დავით აღმაშენებლის გამზ. 61
0102, თბილისი, საქართველო

ტ.+ 995 32 2 60 44 06
ტ. +995 32 2 14 34 54

Grant Thornton Akhvlediani LLC
61 Aghmashenebeli Ave.
0102 Tbilisi, Georgia

+ 995 32 2 60 44 06
+ 995 32 2 14 34 54

www.grantthornton.ge

ს ს ი პ "ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი მ ა უ წ ყ ე ბ ე ლ ი"-ს

ხელმძღვანელობას,

ჩვენს შორის 2015 წლის 17 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება ACC-REV-220-ის საფუძველზე, შევამოწმეთ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი-ს მიერ 2014 წლის განმავლობაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. შემოწმების მიზანია დავრწმუნდეთ, რომ ორგანიზაციის მიერ 2014 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

შემოწმების დროს აღმოჩენილი საკითხები წარმოადგენს რეკომენდაციას კომპანიის ხელმძღვანელობისთვის მომავალში შესყიდვების ფუნქციის და პროცედურების ოპტიმიზაციისთვის.

ჩვენ გვინდა გამოვიყენოთ შესაძლებლობა და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ის პერსონალს მადლობა გადავუხადოთ თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

შპს გრანთ თორნთონ ახვლედიანი
20 აპრილი, 2015

სამუშაოს აღწერილობა

გამსახილველი საკითხების შეფასების კრიტერიუმები

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი-ს მიერ 2014 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების შესაბამისობის განსაზღვრა მოქმედ კანონმდებლობასთან

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებული "შემსყიდველი ორგანიზაციების ანგარიშგების წესი"
- სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი სხვა ნორმები.

სამუშაოს მიმოხილვა

მოვიპოვეთ ორგანიზაციის მიერ შესამოწმებელ პერიოდში განხორციელებული შესყიდვების სია. ჩვენი შეხედულებების მიხედვით შევარჩიეთ მსხვილი, განსხვავებული კლასიფიკატორის (CPV) კოდის მქონე ან ჩვეულებრივზე შეზღუდულ ვადებში განხორციელებული შესყიდვების ოპერაციები, აგრეთვე სხვა შესყიდვების ოპერაციები, რომლებიც რაიმე მიზეზით რისკის შემცველად მივიჩნიეთ. განსახილველი შესყიდვების შერჩევა განვახორციელეთ ისეთნაირად, რომ ჩატარებული პროცედურების შედეგად მიგვეღო საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებები განსახილველი საკითხების დასადასტურებლად. ჩვენ დეტალურად გადავხედეთ შერჩეული შესყიდვების ოპერაციების დოკუმენტაციას და განვიხილეთ რამდენად შეესაბამებოდა შესყიდვის პროცესი და შესაბამისი დოკუმენტაცია დადგენილ მარეგურილებელ მოთხოვნებს. ჩვენ შევამოწმეთ სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის, წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისა და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა. ჩავატარეთ გასაუბრებები ორგანიზაციის შესაბამის პერსონალთან და შერჩევით გადავხედეთ იმ დოკუმენტაციას რომელიც ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

დაკვირვება

ზოგადი მიმოხილვა

შემოწმებას დაექვემდებარა საკუთარი შემოსავლების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით და გრანტი/კრედიტის თანხებით განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის წესით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერების, ელექტრონული ტენდერების საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები, ასევე შესყიდვები, რომლებიც განხორციელებულ იქნა პრეზიდენტის ან მთავრობის სამართლებრივი აქტით.

შემოწმებულ იქნა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელის მიერ წარმოდგენილი განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დოკუმენტაცია და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მათი შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

უპირობო დადებითი დასკვნა განსახილველ საკითხებზე.

ჩვენი აზრით ორგანიზაციის მიერ 2014 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვები სრულად შეესაბამება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედ კანონმდებლობას.

რეკომენდაციები

აუდიტის შედეგების გათვალისწინებით რეკომენდაციის გაცემის აუცილებლობა არ დგას.